

JOURNAL «TSISKARI» ABOUT A POLISH FEMALE COMBATANT

ჟურნალი „ცისკარი“ პოლონელი ქალი-მეომრის შესახებ¹

KAKHABER SURGULADZE

Doctor of History, Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

Abstract. The Polish uprising of 1863–1864, which was mounted against Russian imperial domination and aimed at restoring national sovereignty, left an indelible mark on the collective consciousness of smaller nations living under Tsarist rule. Interest in the uprising was further intensified by the fact that the 'Polish question' was considered one of the most complex issues within the Russian Empire's national policy.

Due to its specific nature, the Polish uprising captured the attention of the Georgian society. The topic was first introduced into Georgian public discourse by Ilia Chavchavadze, who published the initial article in «Sakartvelos' Moambe» under the byline of Petre Nakashidze. However, due to censorship, he was unable to continue developing the theme. In response to mounting public interest and increasingly stringent censorship measures, the journal «Tsiskari», published in the Tiflis Governorate, adopted an alternative strategy — offering readers permissible content on the subject through official press sources issued in the Caucasus region, such as «Kavkaz».

This article examines the editorial narrative presented in the journal «Tsiskari» regarding Henrietta Pustovoitova, a female combatant and participant in the Polish uprising. It is worth noting that the figure of the woman warrior already had precedents both in global history (e.g., Joan of Arc...) and in Georgian cultural memory (e.g., Maia Tskneteli...). It is evident that, to avoid provoking patriotic sentiment under the constraints of censorship, the journal began drawing parallels between the Polish female combatant Pustovoitova and prominent female rulers in history (such as Queen Tamar and Empress Catherine II). Pustovoitova never held a state position; she merely served as an adjutant to the dictator Langiewicz. Consequently, the editorial representation of this female combatant as a sovereign-type figure remained fundamentally incompatible with her actual role. That incongruity resulted in an incomplete and somewhat distorted perception of Pustovoitova among readers.

The editorial commentary concerning Pustovoitova reveals Tsiskari's position toward the insurgents — a stance formulated under the influence of the Empire's official press (such as «Kavkaz»). It also enables us to assess the role of the periodicals in shaping public opinion in the Caucasus regarding the Polish rebels.

Key words: Polish Uprising, Journal «Tsiskari», Georgian Society, female combatant, Pustovoitova.

¹ წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR-22-9832).

კახაბერ სურგულაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის პროფესორი
 საქართველო, ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35
 ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
 +995 599 30 91 91

აბსტრაქტი. რუსეთის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისკენ მიმართულმა 1863–1864 წლების პოლონელების აჯანყებამ ტრაგიკული კვალი დატოვა ცარიზმის უღელქვეშ მყოფი მცირე ერების საზოგადოებრივ ცნობიერებაში. აჯანყების მიმართ ინტერესს ის ფაქტიც ზრდიდა, რომ რუსეთის იმპერიის ნაციონალურ პოლიტიკაში „პოლონეთის თემა“ ყველაზე რთულ საკითხად ითვლებოდა.

პოლონეთის აჯანყებამ თავისი სპეციფიკის გამო მიიქცა ქართული საზოგადოების ყურადღება. ეს თემა ქართულ პუბლიცისტიკაში წამოწია ილია ჭავჭავაძემ, როდესაც „საქართველოს მოამბეში“ პეტრე ნაკაშიძის პირით მკითხველს პირველი პუბლიკაცია მიაწოდა. თუმცა ცენზურის გამო მან ვეღარ შესძლო აღნიშნული თემის გაგრძელება. აჯანყების მიმართ მზარდი ინტერესის და ცენზურის გამო, ტფილისის გუბერნიაში გამომავალი ჟურნალი („ცისკარი“), სხვა გზით წავიდა და დაიწყო მკითხველისთვის კავკასიაში გამომავალი იფიციალური პრესის („Кавказ“...) მეშვეობით ნებადართული თემების მიწოდება.

წინამდებარე სტატიის მიზანია ჟურნალ „ცისკარი“-ს ფურცლებზე პოლონეთში აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის, ქალი-მეომრის, ჰენრიეტა პუსტოვოიტოვას შესახებ რედაქციისეული ვერსიის წარმოჩენა. შევნიშნავთ, რომ ქალი-მეომრის პროტოტიპი უკვე იყო მსოფლიო პრაქტიკაში (ჟანა დ'არკი...) და ქართულ ცნობიერებაში (მაია წყნეთელი...). აშკარა იყო, რომ ცენზურის გამო პატრიოტული გრძნობების გაღვივებისგან თავის არიდების მიზნით, ჟურნალმა, პოლონელი მეზრდოლის – პუსტოვოიტოვას შედარება დაიწყო ისტორიაში არსებულ ქალ-მმართველებთან (თამარ მეფე, იმპ. ეკატერინე II...). არადა, პუსტოვოიტოვას არასდროს ეკავა სახელმწიფო თანამდებობა. იგი იყო მხოლოდ დიქტატორ ლანგიევიჩუსის ადიუტანტი, ამიტომაც ქალი-მეომარის ქალი-მმართველის ტიპაჟად მისი რედაქციისეული წარმოდგენა შეუთავსებელი დარჩა, რამაც მკითხველში პუსტოვოიტოვას შესახებ არასრული წარმოდგენა შექმნა.

პუსტოვოიტოვას შესახებ რედაქციული განმარტებით შესაძლებელია ვაჩვენოთ ინსურგენტების მიმართ „ცისკარი“-ს პოზიცია, რომელიც იმპერიის იფიციალური პრესის („Кавказ“...) გავლენის ქვეშ იყო და ასევე გავსაზღვროთ პრესის როლი მეამბოხე პოლონელებზე კავკასიაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: პოლონელების აჯანყება, ჟურნალი „ცისკარი“, ქართველი საზოგადოება, ქალი-მეომარი, პუსტოვოიტოვა.

შესავალი

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1863–1864 წლებში პოლონელების გმირული ბრძოლა მახლობელი დარჩა ქართველი საზოგადოებისთვის. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა ჩაგრული ერების ბრძოლა სახელმწიფოებრიობისთვის ქართველებში თანაგრძნობას იწვევდა. იყო მომენტები, როდესაც სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხს ქართველი პოლიტიკოსები პოლონელებს უკავშირებდნენ. ასე იყო 1832 წლის შეთქმულების წინარე

პერიოდში, როდესაც ქართველი პატრიოტები გამარჯვების წინაპირობად 1830-1831 წლების პოლონელების ანტირუსულ აჯანყებას მიიჩნევდნენ (ზარამიძე, 2023: 11-24; ხუნდაძე, კიკილაშვილი, 2012: 82). XIX ს-ის ქართველ ინტელექტუალებს პოლონეთის გზა სტრატეგიის ნიშნად ჰქონდათ წარმოდგენილი (პოლონეთი..., 2021:19). საქართველო, რომელიც ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის სახით იყო წარმოდგენილი, აჯანყების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა პერიოდული პრესის („Кавказ“...) მეშვეობით (კამკამიძე, 2013: 12), რუსეთის იმპერიის ქალაქებში არსებული ქართული სათვისტომოებით, რუსული ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილთან ურთიერთობით და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელებისგან [Surguladze, 2023:114]. მართალია, XIX ს-ის 60-იან წლებში თერგდალეულების წყალობით დაიწყო მოწინავე აზროვნების გავრცელება, მაგრამ იმ მომენტისთვის ქართული საზოგადოება არ იყო მზად პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხის მიმართ თეორიული მსჯელობის შესახებ. ქართულ ცნობიერებაში „პოლონეთის თემის“ წამოწევა ილია ჭავჭავაძის დამსახურება იყო (სურგულაძე, 2024: 323-330).

მეთოდები

ნაშრომი დაიწერა წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე. ჟურნალი „ცისკარი“-დამუშავდა საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდებით. დედუქციის მეთოდით მოხდა ზოგადიდან კონკრეტულამდე ახალი ცოდნის მიღება. დიალექტიკურ ერთიანობაში კომპლექსურად და სისტემურად გამოყენებული მეთოდებით მოხდა დროსა და სივრცეში საისტორიო პროცესების და ადამიანების საქმიანობის განხილვა. კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. მეთოდების და მეთოდოლოგიის კომბინაცია საშუალებას გვაძლევს რეალურად წარმოვაჩინოთ XIX ს-ის 60-იან წლებში ჟურნალ „ცისკარი“-ის პოზიცია „იანვრის აჯანყების“ და მისი ერთ-ერთი ფიგურანტის, ქალი-მეომრის პუსტოვოიტოვას მიმართ.

დისკუსია

„პოლონეთის თემის“ მიმართ კავკასიაში გამომავალი პრესის დამოკიდებულებას განსაზღვრავდა რუსეთის იმპერიაში სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში 1826 წელს შექმნილი „ცენზურის უმაღლესი კომიტეტი“. 1863 წლის 1 მარტიდან ცენზურაზე კონტროლის უფლება იმპერიის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოს - შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეოგატივა გახდა (Скаби-чевский, 1892: 216-494). კომიტეტის (იგივე დირექტორატი) თავმჯდომარე იყო სახალხო განათლების მინისტრი, ხოლო მის საბჭოში შედიოდნენ - საიმპერატორო მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიების პრეზიდენტები, შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები, საიმპერატორო უდიდებულესობის კანცელარიის III განყოფილების უფროსი, პეტერბურგის საგანმანათლებლო ოლქის რწმუნებული და საეკლესიო განყოფილების წარმომადგენელი. დირექტორატს ექვემდებარებოდნენ სანქტ-პეტერბურგის, მოსკოვის, რიგის, ვილნოს, კიევის, ოდესის, ტფილისის, პეტერბურგის საგარეო ცენზურის ცენტრალური კომიტეტი და მისი დაქვემდებარებული რიგის, ოდესის, დერპტის, რეველის და ყაზანის განყოფილებები. დირექტორატი განსაზღვრავდა კომიტეტების მოქმედებების მიმართულებებს, ზედამხედველობას უწევდა ცენზურის წესების დაცვას, განიხილავდა საჩივრებს, ადგენდა დამტკიცებული და აკრძალული წიგნების ყოველწლიურ რეესტრებს, რომლებიც წარედგინებოდა სახალხო განათლების და შინაგან საქმეთა მინისტრებს და ა.შ.

რუსეთის ხელისუფლება ინტერესს გამოხატავდა იმპერიის შიგ თუ საზღვარგარეთ გამომავალი გაზეთების მიმართ, რადგან სწორედ მათი მეშვეობით განსაზღვრავდნენ ისინი საზოგადოებრივ აზრს. ამისათვის, დამატებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს

კანცელარიაში შეიქმნა ე.წ. „მეორე საგაზეთო ექსპედიციის“ განყოფილება. ამის გარდა, 1862 წლიდან, კანცელარიის შემადგენლობაში შედიოდა – „პირველი ციფრული ექსპედიცია“. სამინისტროს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტში არსებობდა კიდევ – „მეხუთე საგაზეთო ექსპედიცია“, რომლის შემადგენლობაში იყო ყველა ის განყოფილებები, რომლებიც ფოკუსირდებოდნენ ფრანგულ ენაზე სამთავრობო გაზეთების გამოცემის საკითხებზე (Радун, 2011: 110).

კავკასიაში გამომავალი პრესა თავმოყრილი იყო ქ. თბილისში, რომელიც ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. იქვე ფუნქციონირებდა ცენზურის კომიტეტი. იგი თვალს ადევნებდა პერიოდულ გამოცემებს და იცავდა ადგილობრივი ადმინისტრაციის საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებს (მაღაზონია, 2002-2003: 89; Лучинский..., 2021: 196). ცენზურის კომიტეტი გაზ. „Кавказ“-ის მეშვეობით წარმართავდა პოლონეთის აჯანყების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. კავკასიის გუბერნიის გარდა „Кавказ“-ი ვრცელდებოდა იმ მხარეშიც, სადაც საგუბერნიო განცხადებები არ გამოიცემოდა. თითქოს გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო იყო და „განზრახული ჰქონდა რეგიონში გაეცვლებინა სასარგებლო ინფორმაციები და თანამედროვე სიახლეები... რუსეთისთვის გაეცნოთ კავკასიის რეგიონის ტომების ცხოვრების თავისებურებები, ზნე-ჩვეულებები და ა.შ.“ (Кавказ, 1901, №1: 7). რეალობაში, „Кавказ“-ის მეშვეობით რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის ინტეგრირებას და რუსიფიცირებას. „Кавказ“-ში კი იბეჭდებოდა პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციები, მაგრამ ნებისმიერი მასალა ხელისუფლების ინტერესების ჭრილში მყოფი პრესის, ანდა მეორეხარისხოვანი სამთავრობო წყაროს ანარეკლი იყო.

ცხადია, „Кавказ“-ს ჰყავდა ქართველი და არაქართველი მკითხველი, რომლებიც მის სულისკვეთებას იზიარებდა, მაგრამ ზოგადად პრესას, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული წყარო, მოსახლეობის ცნობიერების ფორმირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. მით უფრო, რომ იგი იყო კავკასიაში მოქმედი პრესის უმთავრესი ორგანო, ამიტომაც „პოლონური თემის“ მიმართ გაზეთის პოლიტიკა გავლენას ახდენდა სხვა პერიოდული გამოცემების მუშაობაზე.

„პოლონეთის თემა“ და პოლონელებისადმი მხარდაჭერის იდეა გაჟღერდა ქართულენოვან პერიოდიკაშიც. განსახილველი მომენტისთვის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოებრივ ინტერესს ავსებდნენ ჟურნალები „ცისკარი“ (1857-1875) და „საქართველოს მოამბე“. მათგან წონადი იყო ილია ჭავჭავაძის (1837-1907) რედაქტორობით 1863 წელს გამოსული „საქართველოს მოამბე“. მართალია, იგი იყო ქართველ სამოციანელების პოლიტიკური და ლიტერატურული იდეების გავრცელების ორგანო, მაგრამ ცენზურის პირობებში განსაზღვრული მისი სპეციფიკა და ფორმატი არ იძლეოდა მასში პოლიტიკური საკითხების წარმოჩენის საშუალებას. ამის მიუხედავად, შენიშნულია, რომ ჟურნალის ხასიათის, იდეური მიმართულების და მიზანდასახულობით მას ქართულ ჟურნალისტიკაში ანალოგი არ ჰქონდა (ჯოლოგუა, 2013: 117).

„იანვრის აჯანყება“ დაემთხვა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ილია ჭავჭავაძის (1837-1907) მეთაურობით სათავეში ჩაუდგნენ „თერგდალეულები“ (ა. წერეთელი, პ. ნაკაშიძე...). ისინი წარმოადგენდნენ რუსეთში განათლება მიღებულ თაობას. XIX ს-ის 60-იან წლებში სისტემისადმი ნახევრადფარულ ოპოზიციური დამოკიდებულებით ისინი შეეცადნენ ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიახლეების დანერგვას. „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა დაემთხვა საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერებას. აიკრძალა ტერმინი „საქართველო“ და სანაცვლოდ დაამკვიდრა მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების ხსენება. ასეთ ფონზე, „თერგდალეულთა“ პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ეროვნულ განთავისუფლებას, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჯერ ავტონომიის მოპოვებას, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას.

თერგდალეულებისთვის პოლონეთი რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის იდეალურ მოდელად მიიჩნეოდა, ამიტომაც ისინი სხვადასხვა რაკურსით ცდილობდნენ ქართველებისთვის მის გაცნობას. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში პოლონეთის მიმართ ყურადღება სამი მიმართულებით გამოიხატებოდა: 1. უშუალოდ პოლონეთში მოგზაურობით და ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობით; 2. რუსულ პრესის ამონარიდებით პოლონეთის ცხოვრების ეპიზოდების გადმოცემით და 3. პოლონური მხატვრული ლიტერატურის თარგმნით (პოლონეთი..., 2021: 21). მთავარი მაინც პრესა რჩებოდა. აჯანყებულების მიმართ ქართველთა თანადგომა გამოვლინდა პერიოდულ პრესაში საზოგადოებისთვის პოლონეთის შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებით, ფინანსური შემოწირულობების ორგანიზებით და პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს მხრიდან მხარდამჭერი საპროტესტო მიმართვით. წინამდებარე სტატიაში ყურადღება გვინდა მივაქციოთ ჟურნალ „ცისკარი“-ს მხრიდან პოლონეთის აჯანყების გაშუქებაზე და წარმოვაჩინოთ მისდამი XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველი საზოგადოების პოზიცია.

ცხადია, პოლონელთა აჯანყების მიმართ ქართული საზოგადოება გულგრილი ვერ დარჩებოდა. ცენზურის პირობებში ჟურნალმა „საქართველოს მოამბე“-მ ითავა საზოგადოებისთვის პირველი რეალური ინფორმაციის მიწოდება. ვინაიდან, ჟურნალის გამოცემის მთავარი მოთხოვნა იყო მასში პოლიტიკური ხასიათის სტატიების ბეჭდვის გამორიცხვა (ჯოლოგუა, 2013: 112), ამიტომაც ი. ჭავჭავაძის მხრიდან შეირჩა „კორესპონდენტი“ - პ. ნაკაშიძე (1838-1895), რომელსაც დაევალა პოლონეთში გამგზავრება და ბელეტრისტული ნაწარმოების „სამგზავრო წერილები“-ს სახით, მკითხველისთვის აჯანყების შედეგად ადგილზე შექმნილი ვითარების გაცნობა (ნაკაშიძე, 1863: 41-50; პოლონელები..., 2021: 35-43). ნაკაშიძის ნარკვევი პოლონელი ერის მიმართ თანაგრძნობის სულისკვეთებით დაწერილი დაუსრულებელი პუბლიკაციაა. წერილი ქართულმა საზოგადოებამ თბილად მიიღო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ზედმეტი გართულების თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებამ იმავე წელს ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დახურა (რატიანი, 2008: 92-93).

პოლონელების გმირული ბრძოლის მკითხველისთვის შეხსენების შემდგომი ცდა ეკუთვნის ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარი“-ს (გამოდიოდა 1852-1853 და 1857-1875 წლებში). რედაქტორ-გამომცემლის ივანე კერესელიძის (1829-1892) მეოხებით ჟურნალი მხატვრული ლიტერატურის გზით ცდილობდა საზოგადოების განათლებას და ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას (კალანდაძე, 1984: 27). „ცისკარში“ არ გვხვდება „საქართველოს მოამბის“ მსგავსად პოლონეთში კორესპონდენტის გაგზავნის და ადგილზე რევოლუციური ვითარების შესწავლის ფაქტი. მასში არ არის საუბარი აჯანყების მიზეზ-გარემოებებზე, საომარ ბატალიებსა და სხვა საკითხებში მკითხველის გარკვევის ცდა. ვინაიდან „პოლონური თემა“ რუსეთის იმპერიაში არსებული საზოგადოებაში აქტუალური საკითხი იყო, შესაბამისად, „ცისკარი“-ს არ შეეძლო განზე მდგარიყო მოთხოვნადი სიუჟეტისგან, ამიტომაც, რედკოლეგია სხვა გზით წავიდა და რუსული პრესის ამონარიდით შეეცადა მკითხველის ინტერესის დაკმაყოფილებას. იმ მომენტისთვის, ლონდონში მოღვაწე რუსი რევოლუციონერის ა. გერცენის (1812-1870) მეშვეობით, 1863 წლის მარტის ევროპულ პრესაში, პოპულარული თემა იყო ქალი-რევოლუციონერის საკითხი (Герцен, 1959: 386), მხედველობაში იყო მოხალისე პუსტოვოიტოვა. გერცენის პოზიციის გასაბათილებლად პუსტოვოიტოვაზე გაზ. „Кавказ“-შიც გაჩნდა სიუჟეტი. „Кавказ“-ის პუბლიკაცია მიაწოდებდა, რომ პუსტოვოიტოვას შესახებ საუბარი ცენზურის მხრიდან ნებადართული იყო. „ცისკარ“-მაც იგი აიტაცა და 1863 წლის №4 ნომერში, მკითხველს მიაწოდა პუბლიკაცია - „პოლშელი პატრიოტი-ქალი ჰენრიეტა პუსტოვოიტოვა“ (ცისკარი, 1863: 590-597; პოლონელები..., 2021: 31-34).

წერილის დასაწყისში რედაქცია მკითხველს მიზანს განუმარტავს: „პოლიაკებმა თავისუფლება მოინდომეს. აქ ჩვენ საჭიროთ არა ვპრაცხთ, შევიდეთ იმის განსჯაში, გონიერია თუ უგონო ეს მონდობილება, სასარგებლოა და ამაო იმისი აღსრულების მოწადინება“ (ცისკარი, 1863: 590). უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტა უცნაური რჩება რედაქციის მიზანი, როცა იმავე ჟურნალში არის დაბეჭდილი აკაკი წერეთლის პოემა „რუსეთუმე“ (ცისკარი, 1863: 534-542), ანდა XIX ს-ის იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელ ჯუზეპე გარიბალდიზე (1807-1882) ანტონ ფურცელაძის (1839-1913) ვრცელი პუბლიკაცია - „გარიბალდის ცხოვრება“ (ცისკარი, 1863: 543-579). „ცისკარი“-ს ამ პოზიციაზე ჩვენი ხედვა გვაქვს. რაოდენ ბანალურად არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს, „პოლონეთის თემა“ იმპერიის საშინაო საქმედ მიიჩნეოდა და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ჟურნალმა შეგნებულად ცენზურის კომიტეტთან მოსალოდნელი კონფლიქტის გამო თავი შეიკავა აჯანყების თაობაზე საუბრისგან და დაკმაყოფილდა ერთ-ერთ მონაწილე პიროვნების - ჰენრიეტა პუსტოვოიტოვას შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. რედაქცია თავისი ნაბიჯს განმარტავდა: „იმ რევოლუციაში გამოჩენილ პირთაგანის შესახებად მკითხველთან მოლაპარაკება გვინდა... ის გახლავს, ...პოლშის რევოლუციის წინამძღოლის ადიუტანტი - ყმაწვილი ქალი ჰენრიეტა პუსტოვოიტოვა“ (ცისკარი, 1863: 590-591).

გვინდა შევნიშნოთ, რომ რედკოლეგია წერილში ლაფსუსებს უშვებს. საქმე იმაშია, რომ ჰენრიეტა პუსტოვოიტოვას სახელის აჯანყების მონაწილე არ არსებობდა. რეალობაში პიროვნება, რომელზეც ჟურნალი საუბრობდა იყო - ანნა ჰენრიკა პუსტოვოიტოვა (1838-1881). ამ შემთხვევაში რედაქციის დადანაშაულება რთულია, რადგანაც პუსტოვოიტოვა რუსეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში სხვადასხვა სახელით იხსენიებოდა. იგი საკმაოდ ქარიზმატული პიროვნება გახლდათ, რამდენადაც იყო რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორის შვილი (Герцен, 1959: 385). რუსულ-პოლონური ოჯახიდან გამოსული პუსტოვოიტოვა თავს პოლონელად მიიჩნევდა. საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო იგი გამოამწყვდიეს მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში, რაც მისი „დამშვიდების“ საშუალება უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, 25 წლის ასაკში, მან მონასტერი მიატოვა, გადაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი, ფსევდონიმად დაირქვა - მიხაილ სმოკი და მოხალისედ ჩადგა ინსურგენტების რიგებში.

პუსტოვოიტოვას „ამორძალად“, ანდა „ორღენელ ქალწულად“ მოხსენიება მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ჟურნალი ამ გზით არ წავიდა. საფიქრებელია, რომ რედკოლეგიამ იმ მომენტში შეგნებულად თავი შეიკავა მის იდეალიზაციაზე, რადგან „ამორძალის“ ფაქტი საქართველოში, სადაც მაია წყნეთელზე (გარსევანიშვილი, 1915: 1-47) და სხვებზე ლეგენდებით საზოგადოება საზრდოობდა, შესაძლოა გადამდები ყოფილიყო, რასაც ცენზურის კომიტეტი ჟურნალს სახიფათო პრეცედენტად ჩაუთვლიდა. წერილის დასაწყისში რედკოლეგია მართებულად აყენებდა საკითხს: „უცხო არ არის ევროპაში, რომ ქალიც იდგეს თავისი ძმა ქმარ მამებსა შორის ჯარში, რომ ქალი თვთან იყვეს წინამძღოლად აღძვრილი ხალხისა, ქალი თვთან იყვეს თავდარიგის დამჭერად და საქმეების განმგებლად“ (ცისკარი, 1863: 591). შესავლის შემდეგ, რედკოლეგიამ პუბლიკაციაში საუბარი სხვა, ამ შემთხვევაში არათავსებადი მხრით წაიყვანა და აქცენტი გააკეთა ფემინიზმის კუთხით ქალების უფლებების შეხსენებაზე, რაც მინიშნებად უნდა ჩავთვალოთ და სახელმწიფოს მართვის საქმეში მათ როლზე. უკანასკნელის მაგალითად მოყვანილი იყო მეფე თამარის (1184-1213), იმპერატორი ეკატერინე II-ის (1762-1796), დედოფალი ელისაბედის I-ის (1553-1603) და იმპ. მარია-ტერეზას (1745-1765) მმართველობა (ცისკარი, 1863: 592]. რედაქციის მხრიდან საკითხის ასეთი კუთხით დასმამ მკითხველში პუსტოვოიტოვას შესახებ იმთავითვე არასათანადო წარმოდგენა შექმნა. საქმე იმაშია, რომ პუსტოვოიტოვა იყო ქალი-მეომარი და არა ქალი-მმართველი, რომელსაც არასდროს ჰქონდა სახელმწიფოს

მართვის ბერკეტები, რადგან იყო დიქტატორ ლანგევიჩის (1827–1887) პირველი მსროლელი ბატალიონის, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაიორი დ. ჩახოვსკის (?-?), ადიუტანტი (Герцен, 1959: 385).

პუსტოვოიტოვას შესახებ „ცისკარი“ წერდა: „პოლშაში ერთი აფიცერი არის რევოლუციის წინამძღოლის ადიუტანტი ყმაწვლი ქალი-მეთქი. ...ბრძოლაში და საშინელ ცეცხლში, როგორც რიგია, თავის ღენერალსა ლანგევიჩს არ ეშორებოდა“. რედკოლეგია დასძენდა, რომ „ამ ქალ-აფიცრის ამბავი ისე შეეხება რევოლუციის ამბავსა, რომ არ შეიძლება ზოგიერთი რამ არ მოვიხსენიოთ“ (ცისკარი, 1863: 594). აგრძელებდა რა თხრობას, „ცისკარი“ წერდა: „ამ ზამთარს პოლიაკებმა დაიწყეს აშლა და თან-თან ისე გახშირდა და ისე გავრცელდა ეს აშლა, რომ საქმე სხუა ნაირად წავიდა. პოლშაში ვინც იყო აქეთ იქით სხვა ქუეყნებში დაფანტული ყველა შეიყარა... ამ დროს ჰენრიეტა პუსტოვოიტოვა. რუსეთის მმართველობისგან განდევნილი სხუა და სხუა პოლიტიკური დემონსტრაციების გულისათვის, პოლშას გარეთ იყო; მაგრამ შეიტყო თუ არა, რომ იმისი სამშობლო ქუეყანა აღძვრილი არისო, წავიდა მაშინათვე არევოლიუციონერულ პოლშის დიქტატორთან (განგებელი) გენერალ ლანგევიჩთან და უთხრა, რომ „მეც მინდა ამ ჩემი მამულის საქმეს ვემსახუროვო“. ჟურნალი დასძენდა, რომ „მარტის გასულს ლანგევიჩი თავის ზოგიერთი ინსურგენტებით და სხუათა შორის ქალ-ადიუტანტით დაიჭირეს ავსტრიელებმა“ (ცისკარი, 1863: 594-595).

რედაქციის აზრით, პუსტოვოიტოვა „ახლა ჩვდმეტისა თუ თვრამეტი წლის ყმაწვლი ქალი იქნება“ (ცისკარი, 1863: 596). რეალურად კი აჯანყების დაწყებისას იგი ოცდახუთი წლის გახლდათ. პუსტოვოიტოვას შესახებ ჟურნალის ინფორმაცია მწირია და იგი სრულად ვერ ხსნის გმირის სახეს. მკითხველისადმი მიწოდებული მასალა არ ასახავს პუსტოვოიტოვას მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში. „ცისკარი“ წერდა, რომ „პირველ ხანებში პუსტოვოიტოვა უბრალო სალდათად იყო ლანგევიჩის ჯარში, მაგრამ მალე ლანგევიჩი დარწმუნდა რომ ბევრსა იმისს კაც აფიცრებს ჰსჯობდა და თავის ადიუტანტად დანიშნა. ჯარის სალდათებმა თუმცა იცოდნენ რომ ეს აფიცერი ქალია, მაგრამ ყოველთვის დიდის პატივის-ცემით ასრულებდნენ იმის ბრძანებებსა“ (ცისკარი, 1863: 596).

ცხადია, ინტერესს იწვევს პუსტოვოიტოვას შესახებ „ცისკარი“-ს ინფორმაციის წყარო. რედაქცია ასახელებს - „რუსული გაზეთებიდან“, მაგრამ არ აკონკრეტებს. აქ შესაძლებელია სხვადასხვა წყაროს დასახელება. მაგ., ა. გერცენის „Колокол“-ში პუსტოვოიტოვას შესახებ მწირი ინფორმაციის გაჟღერდა 1863 წლის 15 მარტს. ვინაიდან „Колокол“-ი რუსეთის იმპერიაში არალეგალურად და მცირე ტირაჟით ვრცელდებოდა, ამიტომაც იგი გამოირიცხება. ყველაზე რეალურად გვესახება კავკასიაში ცენზურის კომიტეტის პოლიტიკის გამტარებელი გაზ. „Кавказ“-ი, რომელსაც ჰქონდა სახელისუფლო გაზეთების ამონარიდებით მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა. 1863 წლის 11 აპრილის ნომერში, დიქტატორ ლანგევიჩზე საუბრისას, „Кавказ“-ის „პოლიტიკური მიმოხილვის“ ნაწილში, განთავსებული იყო პუსტოვოიტოვას შესახებ ინფორმაცია (Кавказ, 1863, №27: 5). „ცისკარი“-ს და „Кавказ“-ში არსებული მასალის ურთიერთშედარებით გამოჩნდა, რომ სწორედ უკანასკნელი იყო ის „რუსული გაზეთებიდან“, რომლიდანაც ჟურნალმა პუსტოვოიტოვას ბიოგრაფიული და საბრძოლო გზის შესახებ ინფორმაციის მოკლე ვარიანტი ამოიღო.

რაც შეეხება პუსტოვოიტოვას შესახებ „Кавказ“-ისეულ ვერსიას, რედკოლეგიის ცნობით წყაროდ მათ თითქოს „კრავოვის გაზეთი“ ჰქონიათ. „Кавказ“-ის ცნობით, პუსტოვოიტოვა დაიბადა ლუბლინის გუბერნიაში სოფ. ვერშოვისკში რუსეთის არმიის გენერლის ოჯახში. გაზეთის ცნობით იგი 18 წლის ყოფილა, დედამისი სოფ. კოსაკოვსკაიას მკვიდრი იყო. რედკოლეგია შენიშნავდა, რომ აჯანყებამდე ორი წლით ადრე, პუსტოვოიტოვა, ანტისამთავრობო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო, გასახლებული

ყოფილა ჟიტომირში. ათთვიანი გასახლების შემდეგ იგი გაიქცა მოლდავეთში, შემდეგ ბუ-
ხარესტში, ხოლო 22 იანვარს შიდლოვიჩში, სადაც იგი შეუერთდა აჯანყების მეთაურს გენ.
ლანგევიჩს. „Кавказ“-ი აღწერდა კრაკოვის ციხეში პუსტოვოიტოვას ყოფნის სურათს. გაზე-
თის ცნობით იგი გამოკეტილი ყოფილა ციტადელის მახლობლად მდებარე პოლიციის
პრეფექტურის შენობის პირველ სართულზე, სადაც მნახველის მისვლა უნტერ-ოფიცრის
და პოლიციის ჩინოვნიკების ნებართვით შეიძლებოდა. რედაქცია აღწერს ვიღაც
პრუსიელის პუსტოვოიტოვასთან შეხვედრის სცენას, რასაც „Кавказ“-იდან მას მკითხველს
შემოკლებული სახით ვაწვდით, რადგან ვთლით, რომ ამ პასაჟში სჩანს „პოლონელი
ამორძალის“ სახე: „...ჩვენი გამოჩენისთანავე სუსტი და საშუალო სიმაღლის ქალბატონი
ტკბილად მოგვესალმა. ...ის გამოწყობილი იყო ნაციონალურ ტანსაცმელში, რომლითაც
იბრძოდა დიქტატორის გვერდით. შავი, მოკლედ შეკრეპილი თმები ორივე მხრიდან სქელი
კულულებით მიუყვებოდა ლამაზ სახეს. კოსტუმი შესდგებოდა ბეწვით მოვარაყებული
მოკლე პოლონური სურთუკისგან. მუხლებამდე დიდ ჩექმებში, რუხი პანტალონით და კი-
სერზე ორი ვიწრო საყელიანი წითელი პერანგით... ოთახში, სადაც იგი იყო მოთავსებული
იდგა მხოლოდ კომოდი, სხვადასხვა გამაგრებლებით მაგიდა და ორი სკამი...
სამწუხაროდ ოთახი იმდენად დაბალია, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც
განუწყვეტლად ეწეოდა პაპიროსს, იძულებულია ფანჯარა მუდმივად ღია დატოვოს“ (Ka-
вказ, 1863, №27: 169). პრუსიელის თხრობას გაზეთი აგრძელებდა: „...იგი საუბრობდა
ფრანგულ ენაზე, რადგანაც ოთახში იყო ყარაული, მისი ახალგაზრდა სახე ატარებდა მძიმე
განცდების კვალს. ფერმკრთალი ლოყები დასუსტებული იყო და როდესაც მიდიოდა
საუბარი ლანგევიჩზე მხოლოდ მაშინ ცეცხლოვანი თვალები არ კარგავდა თავის
ელვარებას. მაღალი შუბლი, წვეტიანი სწორი ცხვირი და ოვალური ნიკაპი კიდევ უფრო
ზრდიდა მიზიდველობას. ...ლანგევიჩის პორტრეტზე აღფრთოვანებით შესძახა - „ა! ეს ჩე-
მი გენერალია!“ მასზე იგი საუბრობდა დიდი ენთუზიაზმით...“ (იქვე).

დასკვნა

დასასრულ ვიტყვით, რომ ქალი-მეომრის, ანუ ომში ქალების და ამ შემთხვევაში
პუსტოვოიტოვას მონაწილეობის ფენომენის ახსნა რთულია მათი ფსიქოლოგიის
თავისებურებების გამო. თუ მამაკაცი ომით, როგორც მოქმედებით, მოხიბლული რჩებოდა,
ქალი მას სხვაგვარად აღიქვამდა ქალური ფსიქოლოგიის გამო. საქმე იმაშია, რომ თავისი
ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების გამო, ქალი მამაკაცზე უფრო
ძლიერად განიცდის ომის ფიზიკურ და მორალურ მხარეებს, რადგანაც ის, რაც მან ომში
ნახა, თუ განიცადა ეწინააღმდეგებოდა მის ქალურ ბუნებას (Гугова, Текучева, 2012: 77).
აქედან გამომდინარე უდაოდ საინტერესო იქნებოდა „ცისკარი“-სეული აზრი
პუსტოვოიტოვას მხრიდან აჯანყებაში ჩართვის გარემოებებზე.

„ცისკარი“-ს ფურცლებზე პოლონელ ქალ-მეომარ – პუსტოვოიტოვაზე საუბარი,
ქართულ რეალობაში „საქართველოს მოამბეს“ მხრიდან დაწყებული „პოლონური თემის“
გაგრძელების ცდაა. „საქართველოს მოამბე“-სგან განსხვავებით „ცისკარი“-ს მიზანი არ იყო
მკითხველის გარკვევა „იანვრის აჯანყების“ მიზეზ-გარემოებებში, საომარ ბატალიებსა თუ
სხვა საკითხებში. პუსტოვოიტოვაზე საუბარი რუსეთის იმპერიაში გამომავალ პრესაში
ცენზურის კომიტეტის მხრიდან ნებადართული თემა იყო, რომელიც კავკასიაში
მკითხველს პირველად გააცნო სახელისუფლო გაზ. „Кавказ“-მა. აქედან გამომდინარე,
„ცისკარ“-მა პუსტოვოიტოვას თემა აიტაცა და მისეული ინტერპრეტაციით წარუდგინა
მკითხველს.

ჩვენი აზრით, მომგებიანი იქნებოდა ჟურნალს მკითხველისთვის წარმოეჩინა
აჯანყებაში პუსტოვოიტოვას მონაწილეობის შთაგონების წყარო. მიგვაჩნია, რომ ეს უნდა
ყოფილიყო 1830 წლის ნოემბრის აჯანყების გმირი ემილია პლატერი (1806–1831), რომელიც
25 წლის ასაკში დაიღუპა. პოლონელი პოეტის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მომრავლის მოღვაწის ადამ მიცკევიჩის (1798–1855) ლექსის – „მეთაურის სიკვდილი“-ს (1832) წყალობით პლატერის სახე შარავანდეთით შეიმოსა და იგი არაერთი პოლონელის შთაგონების წყარო გახდა (კვესელავა, 1956: 189; პოლონურ ვერსიაში სათაურია „პოლკოვნიკის სიკვდილი“ – ავტ.). ზემოთ ავღნიშნეთ, რომ პუსტოვოიტოვაზე საუბრისას „ცისკარი“ სხვა გზით წავიდა და დიქტატორ ლანგევიჩის ადიუტანტი ქალი-მეომარი ქალ-მმართველის ტიპაჟთან შეადარა, რაც შეუთავსებელი იყო, რამაც მკითხველში პოლონელი მებრძოლის შესახებ არასრული წარმოდგენა შექმნა.

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ 60-იანი წლებისთვის „ცისკარი“-სთვის დამახასიათებელი გახდა მხატვრულად და იდეურად გამართულ ნაწარმოებებთან ერთად უსუსური და მანკიერი ნაწერების ბეჭდვა. ხელმომწერების დაკარგვის შიში რედაქციას აიძულებდა ხანდახან ჟურნალი დაეთმო რეაქციული წრეებისთვის, ანდა ზოგჯერ იგი ვერ იჩენდა საჭირო გაბედულებას. ამის მიუხედავად, „ცისკარი“-ს როლი უდაოდ დიდი იყო ახალი თაობის – თერგდალეულების აღზრდის საქმეში (კალანდაძე, 1985: 13). ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ „პოლონეთის თემისადმი“ ჟურნალისეული დამოკიდებულება. პუსტოვოიტოვას შესახებ „ცისკარი“-სეული სურათით შესაძლებელია ვაჩვენოთ ინსურგენტების მიმართ პოზიცია ჟურნალის, რომელიც იმპერიის იფიციალური პრესის („Кавказ“...) მასალების გავლენის ქვეშ იყო და ასევე გავსაზღვროთ მისი როლი მეამბოხე პოლონელებზე კავკასიაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარამიძე, ი. (2023). *პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების გავლენა 1832 წლის შეთქმულებაზე საქართველოში და პეტრე ზაველიესკი*. გვ. 11-24. History, Archeology, Ethnology, [s.l.], n. IX. გორი: გამომცემლობა „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- გარსევანიშვილი, ა. (1915). *გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული*. ქუთაისი: სტამბა „კობრეიძისა“.
- კამკამიძე, თ. (2013). პოლონური მასალები გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე XIX ს-ის მეორე ნახევარში (დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.
- კალანდაძე, ა. (1984). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (1853-1863)*, ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“;
- კალანდაძე, ა. (1985). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (1863-1871)*, ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“;
- კვესელავა, მ. (1956). *ადამ მიცკევიჩი, ცხოვრება და შემოქმედება*. თბილისი: სახელგამი „თბილისი“.
- მალაზონია, დ. (2002–2003). კავკასიის საცენზურო კომიტეტის შემზღუდველი საქმიანობა, „საისტორიო მოამბე“, № 75–76, გვ. 89–92. თბილისი: გამომცემლობა „დიქსი“.
- ნაკაშიძე, პ. (1863). სამგზავრო წერილები, „საქართველოს მოამბე“, № 7, გვ. 41–50. ტფილისი: „გ. მელქიმიანცის და ა. ენფიაჯიანცის სტამბა“.
- პოლონეთი და პოლონელები ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში*. (2021). რედაქტორები: გ. საბანაძე, ე. ჯგერენაია. თბილისი: გამომცემლობა „თბილისი“.
- „ცისკარი“. (1863). „პოლშელი პატრიოტი-ქალი ჰენრიეტა პუსტოვოიტოვა. № 4, გვ. 590–597. ტფილისი: კერესელიძის ტიპოგრაფია.
- რატიანი, შ. (2008). საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან აკაკი წერეთლის ერთი უცნობი წერილის გამო, *ლიტერატურული ძიებანი*, № 29, გვ. 60–62. თბილისი: გამომცემლობა „რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი“.

- სურგულაძე, ვ. (2024). *1863-1864 წლების პოლონეთის აჯანყების ასახვა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“*, გვ. 323-330. კრ. „საისტორიო მეცნიერების სამსახურში“. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“.
- ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ. (2012). *საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი.
- ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- Герцен, А. (1959). Русская женщина у Лангевича, с. 87. *Собрание сочинений, т. 17*. Москва: Изд-во «Академии наук СССР».
- Гугова, М. Текуева, А. (2012). Женщина и война: Проблема повседневного существования и ментальных изменений. *«Вестник Дагестанского научного центра»*. 2012. №46. с. 77-81. Махачкала: Изд-во «Дагестанский федеральный исследовательский центр».
- „Кавказ“. (1863, №27, 11.04). Тифлис: Изд-во «Типография главного управления наместника кавказского».
- „Кавказ“. (1901, №1, 01.01). Тифлис: Изд-во «Типография главного управления наместника кавказского».
- Лучинский, Ю. Осташевский, А. Болтуц, О. (2021). Редакторский корпус газеты «Кавказ» В первое десятилетие XX века: Трансформация информационной политики. *Известия Южного федерального университета. Филологические науки. т. 25, №4, с. 194-206*. Ростов-на-Дону.
- Радун, А. (2011). М. Муравьев и М. Катков в оптике польской прессы 2-ой половины XIX в.: на основании корпуса архивных материалов 2-ой газетной экспедиции мид и «пшеглонда польского». *Przegląd Wschodnioeuropejski. v. 2, Wydawnictwo Uniwersytetu Warmińsko-Mazurskiego. p. 109-119*. Olsztynie: Wydawca «Uniwersytet Warmińsko-Mazurskiego».
- Скабичевский, А. (1892). *Очерки истории русской цензуры (1700-1863)*. С-Пб.: Изд-во «Ф. Павленков».
- Surguladze, K. (2023). The January uprising and Georgian societ, *History, Archeology, Ethnology, [s.l.]*, n. IX, p. 111-120. გორი: გამომცემლობა „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

REFERENCES

- Baramidze, I. (2023). Polonietis 1830-1831 wslebis ajankebis gavlena 1832 wslia shetkmulebase saqartveloze da Petre Zaveleiski [The Impact of the Polish Uprising of 1830-1831 on the 1832 Revolution in Georgia and Petre Zavelejski]. pp. 11-24. History, Archeology, Ethnology [s.l.], №IX. Gori: Publishing House «Gori State University».
- GarsevaniSvili, A. (1915). Gmiri kali, mate kadsharat tsodebuli [Heroine, called Mate the Robber]. Kutaisi: «Kokhreidze» Printing House.
- Gugova, M. Tekueva, A. (2012). Jenschins I voita: Problema povsenevnogo sushestvovanii i mentalnish izmenenii [Woman and war: The problem of everyday existence and mental changes]. «Vestnik Dagestanskogo naidshnogo centra». 2012. №46. с. 77-81. [Bulletin of the Dagestan Scientific Center]. 2012. №46. pp. 77-81. Makhachkala: Publishing house «Dagestan Federal Research Center».
- Herzen, A. (1959). Russkaia jenshina u Langevidsha [Russian Woman in Langevich]. Sbranie codshinenii [«Collected Works»], v. 17. p. 87. Moscow: Publishing house «the USSR Academy of Sciences».
- Jologua, T. (2013). Kartuli jurnalistikis istoria [History of Georgian Journalism]. Tbilisi: Publishing House «Artanuji».

- Kalandadze, A. (1984). Kartuli jurnalistikis istoria (1853-1863) [*History of Georgian Journalism (1853-1863)*], vol. II. Tbilisi: Publishing House «Education».
- Kalandadze, A. (1985). Kartuli jurnalistikis istoria (1863-1871), [*History of Georgian Journalism (1863-1871)*], vol. III. Tbilisi: Publishing House «Education».
- Kamkamidze, T. (2013). Polonuri masalebi gazet Kavkazis furclebze XIX s-is meore nakhevarshi (*Disertacia filologiis doktoris akademiuri khariskhis mosapoveblad*) [*Polish materials on the pages of the newspaper «Kavkaz» in the second half of the 19th century*] (*Thesis for the academic degree of Doctor of Philology*). Tbilisi
- «Kavkaz». (1863, №27, 11.04). Tiflis: Publishing House «Printing House of the Main Administration of the Viceroy of the Caucasus».
- «Kavkaz». (1901, №1, 01.01). Tiflis: Publishing House «Printing House of the Main Administration of the Viceroy of the Caucasus».
- Khundadze, G., Kikilashvili, V. (2012). Sakartvelo-polonietis urtiertobis istoriidan [*From the history of Georgian-Polish relations*]. Tbilisi.
- Kveselava, M. (1956). Adam Mickevidshi, ckhovreba da shemokmedeba [*Adam Mickiewicz, Life and Work*]. Tbilisi: «Tbilisi Publishing House».
- Luchinsky, Y. Ostashevsky, A. Boltuts, O. (2021). Redaktorskij korpus gazety «Kavkaz» v pervoe desjatiletie XX veka: Transformacija informacionnoj politiki [*The editorial staff of the newspaper «Kavkaz» in the first decade of the 20th century: Transformation of information policy.*]. *Izvestija Juzhnogo federalnogo universiteta. Filologicheskie nauki* [News of the Southern Federal University. Philological sciences], №25, pp. 194-206. Rostov-na-Donu.
- Malazonia, D. (2002–2003). Kavkasiis sacenzuri komitetis shenzgudveli saqmianoba [*The restrictive activities of the Caucasus Censorship Committee*]. «Saistorio moambe» [*«Historical History»*]. №75–76, pp. 89-92. Tbilisi: «Dixi». Publishing House.
- Nakashidze, P. (1863). Samgzavro tserilebi [*Travel letters*]. «Sakartvelos moambe» [*«Georgian News»*], №7, pp. 41-50. Tiflis: «G. Melkhimants and A. Enfiadjants Printing House».
- Poloneti da polonelebi kartuli nacionalizmis formirebashi. 2021). [*Poland and Poles in the Formation of Georgian Nationalism*]. Editors: G. Sabanadze, E. Jgerenaia. Tbilisi.
- Radun, A. (2011). M. Muraviov i M. Katkov v optike polskoi pressi 2-oi poloovini XIX v.: na osnovanii korpusa arkhivnikh materialov 2-oi gazetnoi ekspedicii mid i «psheglonda polskogo» [*M. Muravyov and M. Katkov in the optics of the Polish press of the second half of the 19th century: based on the corpus of archival materials of the 2nd newspaper expedition of the Ministry of Foreign Affairs and the «Polish Press»*]. *Przegląd Wschodnioeuropejski*. v. 2, Wydawnictwo University of Warmińsko-Mazurskiego. pp. 109-119. Olsztynie: Wydawca «Uniwersytet Warmińsko-Mazurskiego».
- Ratiani, Sh. (2008). Sakartvelo-polonietis urtiertobis istoriidan Akaki Ceretlis erti ucnobi tserilis gamo [*From the history of Georgian-Polish relations due to an unknown letter by Akaki Tsereteli*]. «Literaturuli dziebani» [*«Literary Searches»*]. №29, pp. 60-62. Tbilisi:
- Skabichevsky, A. (1892). Odsherki istorii ruskoi cenzuri (1700-1863) [*Essays on the history of Russian censorship (1700-1863)*]. St. Petersburg: «F. Pavlenkov» Publishing House.
- Surguladze, K. (2023). The January uprising and Georgian societ, History, Archeology, Ethnology, [s.l.], №IX, p. 111-120. Gori: Publishing House «Gori State University».
- Surguladze, K. (2024). 1863-1864 tslebis polonietis ajankebis asaxva jurnal «Sakartvelos moambeshi» [*Reflection of the Polish Uprising of 1863-1864 in the magazine «Georgian News»*]. pp. 323-330. «Saistorio mecnierebis samsakhrushi» [*«At the Service of Historical Sciences»*]. Tbilisi: Publishing House «National Library of the Parliament of Georgia».
- «Tsiskari». (1863). Polsheli patrioti kali henrieta Pustovoitova [*Polish Patriot-Woman Henrietta Pustowitzowa*]. №4, pp. 590-597. Tbilisi.